

აკაკი ჭერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
პუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი

ხელნაწერის უფლებით

6060 ოყრეშიძე

ზარსული დროის პოგალზილიშვილ-სტილის ური  
ვუნძღვისა ინბლის ურსა და ქართულ მნეგში

10.02.04 – გერმანიკული ენები

ფილოლოგიის დოქტორის აკადემიური ხარისხის  
მოსაპოვებლად წარმოდგენილი დისერტაციის

ავტორებისათვის

ქათაისი  
2010

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
პუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი

ხელნაწერის უფლებით

ნოღა ოყოეშიანი

ჭარსული დოკომენტის პომარზიციურ-სტილისტური  
ჟურნალის ინგლისურსა და ქართულ ენერგი

10.02.04 – გერმანიკული ენები

ფილოლოგიის დოქტორის აკადემიური ხარისხის  
მოსაპოვებლად წარმოდგენილი დისერტაციის

ა გ ტ ო რ ე ფ ე რ ა ტ ი

ქუთაისი  
2010

სადისერტაციო ნაშრომი შესრულებულია აკაკი წერეთლის სახელმწიფო  
უნივერსიტეტის ინგლისური ენის დაპარტამენტში.

სამეცნიერო ხელმძღვანელი:

მადონა მეგრელიშვილი  
ფილოლოგის მეცნიერებათა დოქტორი,  
პროფესორი

რეცენზენტები:

1. მაია ჩხეიძე  
ფილოლოგის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი
2. რუსუდან გოცირიძე  
ფილოლოგის დოქტორი, პროფესორი

დისერტაციის დაცვა შედგება აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის  
პუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის სადისერტაციო კომისიის სხდომაზე  
2010 წლის 24 11 12 საათზე.

მისამართი: ქუთაისი, 4600, თამარ მეფის ქ. №59. კორპუსი I, აუდიტორია № 1114  
დისერტაციის გაცნობა შესაძლებელია აკაკი წერეთლის სახელმწიფო  
უნივერსიტეტის პუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ბიბლიოთეკაში  
(ქუთაისი, 4600, თამარ მეფის ქ. № 59).

სადისერტაციო საბჭოს  
სწავლული მდივანი:

ფილოლოგის დოქტორი,  
ასოცირებული პროფესორი

ირმა ჭიფიანი

## ნაშრომის ზოგადი დახასიათება

სადისერტაციო ნაშრომი ეძღვნება წარსული დროის კომპოზიცი-  
ურ-სტილისტურ ფუნქციათა შეპირისპირებით (კონტრასტულ) ანალიზს  
ინგლისურსა და ქართულ ენებში. ამ ნიშნით ჩატარებულმა სამეცნიე-  
რო კვლევებმა დაადასტურა, რომ ენებს შორის კონტრასტული ანალი-  
ზი ბევრ შემთხვევაში გაცილებით უფრო ეფექტურია, ვიდრე შიდაენობ-  
რივი, რადგან იგი საშუალებას იძლევა აღმოვაჩინოთ ამა თუ იმ ენის  
ისეთი თავისებურებები, რომელთა დადგენა მნელი იქნებოდა მხოლოდ  
ერთი ენის კვლევისას. არამონათესავე ენების კონტრასტული შესწავ-  
ლა ადგენს ფუნქციურ მსგავსება-განსხვაებას ორ ენას შორის და  
განსაზღვრავს იმ კატეგორიათა ფუნქციობის თავისებურებას, რომლებ-  
საც მატერიალური გამოხატულება მსგავსი არა აქვთ.

კონტრასტული ანალიზის პრინციპები და მეთოდი განსხვავებუ-  
ლია, რადგან შეპირისპირების საფუძველი ცნებათა კატეგორიებია, რომელიც შესაპირისპირებელ ენებში ამა თუ იმ გამოხატულებას პოუ-  
ლობს. კვლევის საფუძვლად ცნებათა კატეგორიები მხოლოდ იმიტომ  
შეიძლება იქნეს გამოყენებული, რომ მათ ენობრივი კატეგორიები შეუძ-  
ლიათ განასახიერონ. თუმცა, ცნებათა კატეგორიები მხოლოდ გრამატი-  
კული ფორმებით კი არ გადმოიცემა, არამედ მთელი რიგი სხვა საშუა-  
ლებებითაც, როგორიცაა ლექსიკური, სინტაქსური, კონტექსტური.

### ნაშრომის მიზანია:

ა) გამოვლენილ და შესწავლილ იქნეს წარსული დროის ფუნქცი-  
ურ-სემანტიკური კატეგორიის ტემპორალურ-ასაქტული გარიანტული  
მნიშვნელობები შესაპირისპირებელ ენებში (ინგლისური და ქართული)  
მსგავსება-განსხვაებათა დასადაგენად.

ბ) გამოვლენილ იქნეს წარსული დროის კომპოზიციურ-სტილის-  
ტური პოტენციალი ფუნქციურ-სისტემობრივი შეპირისპირების მეთოდის  
გამოყენებით, რომ დადგინდეს ერთი და იგივე ენობრივი მოვლენის  
სხვადასხვაგარი ქცევა ორ სტრუქტურულად განსხვაებულ ენაში.

კვლევის მიზნებიდან გამომდინარე ნაშრომში ეტაპობრივად არის  
გადაჭრილი შემდეგი კონკრეტული ამოცანები:

1. შემუშავებულია კონცეპტუალური აპარატი დასახული კვლევის  
საწარმოებლად;

2. განსაზღვრულია კვლევის მიმართულება შინაარსიდან ფორმი-  
საცენტრისასტული ანალიზის ძირითადი პრინციპის გათვალისწინე-